შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ა N162/01/21 -1

(სსიპ ,,საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო"-ს და შპს ,,General Construction Compani"-ს შორის 2012 წლის 03 თებერვალს გაფორმებულ N162/01/21 ხელშეკრულებაში ცვლილებების განხორციელების შესახებ)

ქ.თბილისი 02 მაისი, 2012 წელი

ერთის მხრივ, სსიპ ,,საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო" (შემდგომში ,,შემსყიდველი ორგანიზაცია") წარმოდგენილი დირექტორის მოადგილის, თეიმურაზ მაჩაიძის სახით და მეორეს მხრივ შპს ,,General Construction Compani" (შემდგომში ,,მიმწოდებელი") წარმოდგენილი დირექტორის, ალექსანდრე გუგუნავას სახით, მხარეთა შორის 2012 წლის 03 თებერვალს გაფორმებული N162/01/21 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების XVI მუხლის, 16.5 პუნქტის, კომპანიის 2012 წლის 24 აპრილის 9-01/12/06 (N05/1768) წერილისა და სსიპ ,,საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო"-ს სამშენებლო სამსახურის უფროსის 2012 წლის 27 აპრილის N01-435 სამსახურებრივი ბარათის, გათვალისწინებით შევთანხმდით შემდეგზე:

1.განხორციელდეს ცვლილება მხარეთა შორის 2012 წლის 03 თებერვალს გაფორმებულ N162/01/21 ხელშეკრულებაში და მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვა ჩამოყალიბდეს დანართი N1-ის შესაბამისად, კორექტირებული სახით.
2. განხორციელდეს ცვლილება მხარეთა შორის 2012 წლის 03 თებერვალს გაფორმებულ №162/01/21 ხელშეკრულებაში და ხელშეკრულების ღირებულება ნაცვლად 211 635 (ორას თერთმეტიათას ექვსასოცდათხუთმეტი) ლარისა განისაზღვროს 166 015 (ასსამოცდაექვსიათას თხუთმეტი) ლარით.
3. ხელშეკრულების დანარჩენი მუხლები/პუნქტები დარჩეს უცვლელი.
4. შეთანხმება შედგენილია ხუთი, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, რომელთაგან ოთხი რჩება შემსყიდველ ორგანიაზაციას, ხოლო ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს.

სსიპ ,,საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების საგენტო"

დირექტორის მოადილე:
თეიმურაზ მაჩაიძე

(ხელმოწერა, ბეჭედი)

შპს ,,General Construction Compani"

დირექტორი: ალექსანდრე გუგუნავა

(ხელმოწერა, ბეჭედი)

საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის
განვითარების სააგენტოს დირექტორს
ბატონ გიორგი ჩახნაშვილს

სამსახურებრივი ბარათი

ბატონო გიორგი,

საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსა და შპს „ჯენერალ ქონსტრაქშენ ქომპანი"-ს შორის 2012 წლის 3 თებერვალს გაფორმებული №162/01/21 ხელშეკრულების შესაბამისად მიმდინარეობს კახეთის რეგიონის საჯარო სკოლებში მომავლის კლასების მოწყობის სამუშაოები, რომლის ღირებულებაც შეადგენს 211 635 ლარს.

სააგენტოში 2012 წლის 24 აპრილს შემოსული №01/12/06 წერილით შპს „ „ჯენერალ ქონსტრაქშენ ქომპანი" ითხოვს ხელშეკრულებით განსაზღვრულ ხარჯთაღრიცხვაში კორექტირების შეტანას. კერძოდ, დაზუსტდა მოცულობები და ელექტრო სამუშაოები.

შპს „ ჯენერალ ქონსტრაქშენ ქომპანი"-მ წარმოადგინა კორექტირებული ხარჯთაღრიცხვები (თან ერთვის). ხოლო ღირებულება კორექტირების შედეგად შეადგენს 166 015 ლარს.

სააგენტოს სამშენებლო სამსახურის მენეჯერის გიორგი ციცვიძის მიერ მოხდა ობიექტების დათვალიერება. ხარჯთაღრიცხვის შესწავლის შემდეგ სამშენებლო სამსახური თვლის, რომ მიზანშეწონილია ხელშეკრულებით განსაზღვრულ ხარჯთაღრიცხვაში კორექტირების შეტანა.

გთხოვთ, თქვენს გადაწყვეტილებას.

პატივისცემით,

მერაბ ჭონიაშვილი

სამშენებლო სამსახურის უფროსი

შემსრულებელი: გ.ციცვიძე

სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო
ინფრასტრუქტურის განვითარების
სააგენტო
შემოსული N 01-435
27. 04 2012 წ.

იპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო
ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო

№ 05/1768 24 04 2012 წ

ბატონ/ქალბატონ მ. ტონიაშვილი

24.04.12

25.04.12

საქმისწარმოებაზე
პასუხისმგებელი პირი:

შპს "ჯენერალ კონსტრაქშენ კომპანი"
"GENERAL CONSTRUCTION COMPANI" LTD

24 / 04 / 2012 წ.

№ 9-01/12/06

საქართველო, თბილისი უზნაძის 57
Uznadze 57, Tbilisi, GEORGIA.
Tel: (995 32) 2152325
Fax: (995 32) 2954174
E_mail: LLC.GCC@Gmail.com

სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო
ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს
დირექტორს ბ-ნ გიორგი ჩახნაშვილს

ბატონო გიორგი,

ჩვენ შორის 2012 წლის 3 თებერვალს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება № 162/01/21-ის შესაბამისი სამუშაოების მიმდინარეობისას, ხარჯთ აღრიცხვაში მითითებული ზოგიერთი სამუშაოს ჩატარება აღარ გახდა საჭირო. ასევე შეიცვალა ზოგიერთი სამუშაოსა და შესაბამისად მასალების რაოდენობები.

აქედან გამომდინარე, წარმოგიდგენთ ახალ კორექტირებულ ხარჯთაღრიცხვას.

დანართი 15 ფურცელი

პატივისცემით,

გენერალური დირექტორი

ალექსანდრე გუგუნავა

ხ.

GENERAL CONSTRUCTION COMPANY LTD
GCC
404383546

სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო
ინფრასტრუქტურის განვითარების
სააგენტო
შემოსული № 05/1768
24. 04 2012წ.